საექსპერტო დასკვნა

III კლასს დაქვემდებარებული, სკოლის შენობა №3/3-ის რეკონსტრუქციის პროექტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან“ შესაბამისობაზე. ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, დიღომი, ევგენი მიქელაძის ქ. №3ა. პროექტი შესრულებულია საპროექტო ორგანიზაცია შ.პ.ს. "ტე.ეს.ტე არქსტუდიო"-**ს** ჯგუფის მიერ. ს/კ: 405043126

პროექტის მთავარი არქიტექტორი – თ. მურვანიძე. ავტორი – რ. ებრალიძე.

საექსპერტო დასკვნა ჩატარებულია შპს **„ეკლექტი“-**ს მიერ, თუმანიანის შეს. №4.
ინსპექტორი – არქიტექტორი ქ. მაისურაძე

საექსპერტო დასკვნა მოიცავს არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას ტექნიკურ რეგლამენტთან—„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების
წესები“ შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილების („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) **მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის** მიხედვით.

შენიშვნები:

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის „საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის –„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

დაგეგმარების საფუძველი და მიზანი:

წინამდებარე პროექტის მიზანს წარმოადგენს არსებულ სამსართულიან სკოლის შენობაზე მიშენების განხორციელება, თანამედროვე სტანდარტების და შენობა-ნაგებობათა უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით. წინამდებარე პროექტი დამუშავებულია 2015 წლის 22 მაისის # 1909946 ბრძანებით დამტკიცებული გაპის შესაბამისად, რომელშიც 2017 წლის 24 იანვარს # **3118154** ბრძანებით შესულია ცვლილება.

1. საპროექტო ტერიტორიის აღწერა:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, დიღომში, ევგენი მიქელაძს #3ა-ში. საკადასტრო მონაცემებით ტერიტორიის ფართობი შეადგენს 11689 კვ.მ-ს. ტერიტორიას აღმოსავლეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით ესაზღვრება გზები, ხოლო სამხრეთის მხრიდან ესაზღვრება მიწის ნაკვეთი, რომელიც საპროექტო ტერიტორიის მესაკუთრის საკუთრებაა.

2. საპროექტო შენობის აღწერა:

შენობის დაპროექტებას საფუძვლად დაედო შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების მოთხოვნები. სარეკონსტრუქციო შენობა წარმოადგენს სამსართულიან შენობას. იგი აგებულია ბეტონის ანაკრები კონსტრუქციით, გადახურვა ბრტყელია. რეკონსტრუქცია მოიცავს არსებულ შენობაზე ჩრდილოეთის მხრიდან შიდა კუთხეებზე მიშენებას. მიშენება ხორციელდება ორ ბლოკად. მიშენებული ნაწილის მზიდ კონსტრუქციულ ელემენტებს წარმოადგენს რკინაბეტონის სვეტები, რომლებიც დაფუძნებულია წერტილოვან საძირკველს. სართულშუა გადახურვები და კიბის უჯრედი მოწყობილია მონოლითური ფეილებით. სახურავი ბრტყელია. შენობა მისი ფართობით და სიმაღლით მიკუთვნებულია AI კონსტრუქციის ტიპს.

ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

1. ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები:

მიწის ნაკვეთის ფართობი - 11689 კვ.მ

განაშნეიანების ფართობი - 1515.6 კვ.მ

საერთო ფართობი - 3879.1 კვ.მ
მათ შორის:
საკლასო ოთახების ფართობი - 2390.6 კვ.მ
დერეფნების და კიბის უჯრედის ფართობი - 1410.2 კვ.მ
ადმინისტრაცია - 78,3 კვ.მ

შენობა ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე - 11,0 მ
მათ შორის:
0,000 ნიშნულის ქვევით - 1,8 მ
0,000 ნიშნულის ზევით - 10,1 მ

შენობა ნაგებობის სამშენებლო მოცულობა - 9700 კუბ.მ

მათ შორის:
0,000 ნიშნულის ქვევით - 1350კუბ.მ
0,000 ნიშნულის ზევით - 14850 კუბ.მ

კოეფიციენტები მარტო საპროექტო შენობის,

კ1 კოეფიციენტი - 1511.0 კვ.მ
კ2 კოეფიციენტი - 4496.0 კვ.მ
კ3 კოეფიციენტი - 4264.6 კვ.მ

საექსპერტო დასკვნა შეიცავს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებაში მოთხოვნილი საქართველოს მთავრობის დადგენილება №41 –„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-თან შესაბამისობას შემდეგ ნაწილებში:

1) დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვა:

პროექტი ითვალისწინებს საპროექტო შენობაში განსათავსებელ დაკავებულობებისთვის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრულ ყველა დეტალურ მოთხოვნას.
წარმოდგენილ პროექტში დაკავებულობები კლასიფიცირებულია წესების **მე-3 თავის** მიხედვით და შეესაბამება **304 და 305 ქვეთავებს.** პროექტში გამოყენებულია **საგანმანათლებლო (სგ)** და **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობები. დაკავებულობის დატვირთვები განსაზღვრულია შემდეგნაირად:
<u>პირველი სართულზე</u> (**0.00** ნიშნული) განთავსებულია ადმინისტრაცია და საკლასო ოთახები, საერთო ფართობით **792.1 მ^2** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=385.**
<u>ადმინისტრაცია</u>, 304.1 ქვეთავის შესაბამისად, მიეკუთვნება **საქმიანი (სქ)**

ჯგუფის დაკავებულობას, საერთო ფართობით **78.3 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=9.**

<u>საკლასო ოთახები,</u> 305.1 ქვეთავის შესაბამისად, კლასიფიცირებულია, როგორც **საგანმანათლებლო (სგ)** ჯგუფის დაკავებულობა, ფართობით **713.8 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **1.9** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=376.**

<u>მეორე და მესამე სართულები</u> (**3.30** და **6.60** ნიშნულები) დათმობილი აქვს საკლასო ოთახებს, როგორც **საგანმანათლებლო (სგ)** ჯგუფის დაკავებულობას, საერთო ფართობით **847.1+829.7=1676.8 მ²** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=454+448=902.**

შემოთავაზებული ფართობების ჯამი = 2484.4 მ².

სართულზე განთავსებული თითოეული დაკავებულობის დატვირთვა გამოყვანილია, ამავე დაკავებულობების **თითოეულ სათავსოზე** გამოთვლილი დაკავებულობის დატვირთვების შეჯამებით.

2) კონსტრუქციის ტიპების კლასიფიცირება.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მიხედვით საპროექტო შენობის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო (გაძლიერებული ბეტონის კარკასი), იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა), სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა) აკმაყოფილებს **601 ქვეთავის 601 ცხრილის** მოთხოვნებს, პროექტის მიხედვით ზემოთ აღწერილი ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი, აღწერილი მასალათა სპეციფიკაციიდან, შეადგენს **2**-საათს და შეესაბამება **601 ცხრილში I-A** ტიპის კონსტრუქციისთვის მოთხოვნილ მაქსიმალურ **2**-საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი **2**-საათს უდრის და აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმუმს

ხანძარსაწინააღმდეგო მასალიდან და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდინარე. სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები შეესაბამება **601 ცხრილში** მოთხოვნილ **1-**საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს.

3) სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

503-ე ცხრილის მიხედვით, **I-A** ტიპის კონსტრუქციის შენობისთვის დაშვებულია სართული, სიმაღლე და ფართობი შეუზღუდავი, ხოლო პროექტით წარმოდგენილია:

საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობისთვის (ადმინისტრაცია): სართული–**1**, სიმაღლე–**3.30 მ** და ფართობი–**78.3 მ^2**.

საგანმანათლებლო (სგ) ჯგუფის დაკავებულობისთვის (საკლასო ოთახები): სართული–**3**, სიმაღლე – **9.90 მ** და ფართობი – **2390.6 მ^2**;

საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი პროექტი **3-**სართულიანია მიწის ზემოთ, სიმაღლით – **10.10 მ**, განაშენიანების ფართობით – **1515.6მ^2** და საერთო ფართობით – **3879.1 მ^2**.
საპროექტო შენობის სიმაღლე და ფართობი განსაზღვრულია წესების **მე-5 თავის 503-ე ცხრილის** მიხედვით, შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე და აკმაყოფილებს განსაზღვრულ ნორმებს.

4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელები.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასავლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე **მე-10 თავის** შესაბამისად.

საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შენობა 3 მიწის დონის ზედა სართულით სწორ რელიეფზეა განთავსებული. შენობას ცხრა გასასვლელი აქვს: სამი მთავარი გასასვლელი აქვს „12–1“ ღერძების მხრიდან, ორ-ორი გასასვლელი–„ა–გ“ და „გ–ა“ ღერძების მხრიდან, ორი გასასვლელი აქვს „1–12“ ღერძების მხრიდან, მიწის დონის **0.00** ნიშნულზე მოწყობილ ბაქანზე, რომელიც **6 %**-ანი დახრის მქონე გზა-პანდუსით უზრუნველყოფს მიწის დონესთან მისადგომს **-0.25** ნიშნულზე.

საპროექტო შენობას გააჩნია **1009.3 ქვეთავით** განსაზღვრული ორი შიგა გასასვლელი გზა-კიბე და ორი შიგა დამატებითი კიბე, რომელიც აკავშირებს შენობის ყველა სართულს. გზა-კიბეები შემოზღუდულია ცეცხლმედეგი კედლებით, კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს **2**-საათს, რაც შეესაბამება **1009.3.1.1 ქვეთავით** განსაზღვრულს, კიბეები ერთმანეთისგან დაშორებულია **33.82** მეტრით.

გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია **1009 ქვეთავის** შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გასასვლელთან მისადგომი დერეფნები მოწყობილია **1018 ქვეთავის,** ხოლო გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** შესაბამისად. ყველა მათგანი აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას, რასაც ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ. ყველა გასასვლელი გრძელდება **1027 ქვეთავის** მიხედვით მოწყობილი შენობიდან გამოსასვლელით და სრულდება საზოგადოებრივ გზაზე. გასასვლელი საშუალებები და მისი ნაწილები, დერეფნები და შიგა

გასასვლელის გზა-კიბეები აღჭურვილია მექანიკური განიავების სისტემით, ასევე **1006 ქვეთავის** მიხედვით მოწყობილი განათების სისტემებით.

1016.2 ცხრილის მიხედვით, გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი საშხეფი სისტემით განსაზღვრულია:
საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობისთვის – **90** მეტრი;
საგანმანათლებლო (სგ) ჯგუფის დაკავებულობისთვის –**75** მეტრი;
ხოლო პროექტით გასასვლელისკენ სავალი მაქსიმალური მანძილი წარმოდგენილია შემდეგნაირად:
საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობისთვის **18.0** მეტრი; **საგანმანათლებლო (სგ)** ჯგუფის დაკავებულობისთვის **47.0** მეტრი, რაც შეესაბამება **1016.2 ცხრილის** მოთხოვნებს.
გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი აკმაყოფილებს **1016 ქვეთავის** და **1016.2 ცხრილის** მოთხოვნებს.
1205.5 და **1006.1 ქვეთავების** მოთხოვნების შესაბამისად შენობის ყველა გასასვლელი და შენობიდან გამოსასვლელი აღჭურვილია საავარიო განათებით.

შენიშვნა:
1006.2 ქვეთავის თანახმად გზა-კიბეების და ზოგადად გასასვლელი საშუალებების განათებულობა სავალი ზედაპირის დონესთან 11 ლუქსზე ნაკლები არ უნდა იყოს. 1006.3 ქვეთავის თანახმად დენის გათიშვისას, სათადარიგო ელექტროსისტემამ ავტომატურად უნდა გაანათოს გასასვლელი საშუალებები და დენით მომარაგებას უნდა უზრუნველყოფდეს არანაკლებ 90 წუთის განმავლობაში და უნდა შედგებოდეს აკუმულატორების ან ავტონომიური გენერატორისაგან.

5) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა.

როგორც უკვე აღინიშნა, შენობაში ოთხი კიბის უჯრედია მოწყობილი. კიბის უჯრედის მარში შეესაბამება **1009.4 ქვეთავში** მოთხოვნილს, სადაც გზა-კიბეების თავისუფალი სიგანე არ უნდა იყოს **1.1** მეტრზე ნაკლები.

გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე (**82** სმ) განსაზღვრულია **1008.1.1 ქვეთავის** და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2 ქვეთავით** განსაზღვრული ფაქტორი (**5.1** მმ). წარმოდგენილ პროექტში გზა-კარის მინიმალური სიგანე **0.90** მეტრია, რაც აკმაყოფილებს მოთხოვნას.

1023.2 ქვეთავის მოთხოვნით, დერეფნის სიგანე არ უნდა იყოს **2.05** მეტრზე ნაკლები, წარმოდგენილ პროექტში გასასვლელი დერეფნების მინიმალური სიგანე **2.80** მეტრია, რაც სავსებით შეესაბამება და მეტია მოთხოვნილზე.

შენობიდან გამოსასვლელი მდებარეობს მიწის დონის **0.00** ნიშნულზე და უზრუნველყოფს მიწის დონესთან მისადგომს (**0.00** ნიშნულზე). გარე გასასვლელების დაცილება შენობის გეგმის დიაგონალის ნახევარზე მეტია. კიბის საფეხურის თარაზული სიღრმის ზომა **30** სმ-ია, შვეული სიბრტყისა კი–**15** სმ. გზა-კიბეებს აქვს სავენტილაციო არხებით აღჭურვილი ფოიეები და აკმაყოფილებს **1009.7, 1009.8** და **1009.15** ქვეთავის მოთხოვნებს კიბის საფეხურებთან, ბაქნებთან და სახელურებთან დაკავშირებით.

6) მისაწვდომობის შეფასება.

1104.1 ქვეთავის თანახმად, მიწის ნაკვეთზე შესასვლელი ადგილები უზრუნველყოფილია მისაწვდომი სვლაგეზებით საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებიდან, მისაწვდომი ავტოსადგომიდან. მე-11 თავის მოთხოვნების შესაბამისად გეგმაზე მითითებულია მისაწვდომობის სვლაგეზი და განსაზღვრულია მისაწვდომი შესასვლელი, რომელიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირის მისაწვდომობას ტუალეტებთან. პროექტში გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთათვის მისაწვდომი ლიფტი, რომელიც ყველა სართულზე უზრუნველყოფს მისაწვდომობას.

7) გარე კედლებისადმი მოთხოვნები.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი **2** საათს უდრის და აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მასალიდან და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდინარე. სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები შეესაბამება **601 ცხრილში** მოთხოვნილ **1**-საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს.

გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით საშხეფი სისტემით:

„**1 – 12**“ ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **5.72** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია **75 %**, ხოლო წარმოდგენილია **25 %**.

„**ა – გ**“ ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **11.67** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია შეუზღუდავად, ხოლო წარმოდგენილია **10 %**.

„**12 – 1**“ ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **16.55** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია შეუზღუდავად, ხოლო წარმოდგენილია **25 %**.

„**გ – ა**“ ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **16.93** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია შეუზღუდავად, ხოლო წარმოდგენილია **10 %**.

8) სახურავის ანაწყობების შეფასება.

საპროექტო შენობას აქვს ბრტყელი გადახურვა, ზედ მოწყობილი ლიფტის სამანქანო განყოფილებით და კიბის უჯრედის ამოსასვლელით. გადახურულია ბეტონის სახურავის ბურულით, რომელიც **1505.2 ქვეთავის** მიხედვით, **A** კლასის სახურავის ანაწყობებს მიეკუთვნება. ამავე ქვეთავის შესაბამისად, **A** კლასის სახურავის ანაწყობების გამოყენება ნებადართულია ყველა ტიპის შენობაზე ან ნაგებობაზე. ბეტონის სახურავის ბურულებზე, ჰიდროიზოლაცია მოწყობილია ისე, რომ კედლის ზედა ბურულების გადაბმების, პარაპეტის კედლების გადაკვეთის ადგილების დასახურავის ზედაპირზე არსებული სხვა ღიობების გავლით ნესტმა ვერ შეაღწიოს კედელსა და სახურავში, რაც შეესაბამება აღნიშნული ქვეთავის მოთხოვნებს.

9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება.

მე-10 თავის 1009.3.1.2 ქვეთავის თანახმად, ოთხზე ნაკლები სართულის დამაკავშირებელი გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეების შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი უნდა იყოს, არანაკლებ, 1 საათი. საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შენობის გამმიჯნავები დაკავებულობებს შორის და კიბის უჯრედისა და სავენტილაციო შახტების შემომზღუდავები, ასევე ორსაათიანი ცეცხლმედეგობისაა და შეესაბამება აღნიშნული ქვეთავის მოთხოვნებს. თარაზული ანაწყობების ცეცხლმედეგობა ორსაათიანია და შეესაბამება
707.3.10 ცხრილის მოთხოვნებს.

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

903 ქვეთავის შესაბამისად, საპროექტო შენობა მთლიანად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით.

904 ქვეთავის მიხედვით, შენობა ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემის მოწყობას არ საჭიროებს.

907 ქვეთავის შესაბამისად, სახანძრო განგაშის, კვამლაღმომჩენი და ცეცხლაღმომჩენი სისტემები მოწყობილია მთელ შენობაში.

ეზოში გათვალისწინებულია სახანძრო ჰიდრანტის მოწყობა.

909 ქვეთავის შესაბამისად, კვამლის საკონტროლო სისტემა მოწყობილია მთელ შენობაში.

906.1 ქვეთავის მიხედვით, ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულია ყველა სართულზე.

908 ქვეთავის მიხედვით, აღნიშნული დაკავებულობები საავარიო განგაშის სისტემების მოწყობას არ საჭიროებს.

11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.

წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მინიმალური რაოდენობა გამოთვლილია **საგანმანათლებლო (სგ)** და **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობებისთვის და შეესაბამება **ცხრილი 1602.1-**ის მინიმალურ მოთხოვნებს. გამოთვლისას მიღებული წილადი რიცხვი დამრგვალებულია მთელ რიცხვამდე და წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მინიმალურმა რაოდენობამ შეადგინა:

<u>პირველ სართულზე:</u>

საქმიანი (სქ) და **საგანმანათლებლო (სგ)** ჯგუფის დაკავებულობებისთვის:

- 9 უნიტაზი და 9 ხელსაბანი;
- 2 სამომსახურეო ნიჟარა.

<u>მეორე სართულზე:</u>

საგანმანათლებლო (სგ) ჯგუფის დაკავებულობისთვის(საკლასო ოთახები):

- 12 უნიტაზი და 12 ხელსაბანი;
- 2 სამომსახურეო ნიჟარა.

<u>მესამე სართულზე:</u>

საგანმანათლებლო (სგ) ჯგუფის დაკავებულობისთვის(საკლასო ოთახები):

- 9 უნიტაზი და 9 ხელსაბანი;
- 2 სამომსახურეო ნიჟარა.

წარმოდგენილ პროექტში სრულადაა გათვალისწინებული **1602.1 ცხრილის** მოთხოვნები.

დასკვნა:

ზემოთ აღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქ. თბილისში, ევგენი მიქელაძის ქ. №3ა ტერიტორიაზე განთავსებული სკოლის შენობა №3/3-ის რეკონსტრუქციის პროექტის არქიტექტურული დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან–„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“, ასევე ვადასტურებ, რომ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ინფორმაციას.

საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი: ქ. მაისურაძე არქიტექტორი

ქართლოს მაისურაძე

EKLEKTI LLC
404452061





ДИПЛОМ

ПВ № 049083

Настоящий диплом выдан Маисурадзе Картлосу Шалвовичу в том, что он в 1978 году поступил в Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина и в 1987 году окончил полный курс дневного института по специальности архитектура

Решением Государственной экзаменационной комиссии от "4" июня 1987 г. Маисурадзе К.Ш. присвоена квалификация архитектора

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П.

Город Тбилиси "28" х 1987 г.

Регистрационный № 3154

Московская типография Гознака. 1986.

დიპლომი

ПВ № 049083

ეს დიპლომი მიეცა ქართლოს შალვას ძე მაისურაძეს იმაზე, რომ იგი 1978 წელს შევიდა საქართველოს ჯ.ა.ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და 1987 წელს დაამთავრა დღიური განყოფილების სრული კურსი სპეციალობით არქიტექტურა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1987 წ. 4 ივნისის გადაწყვეტილებით ქ.შ. მაისურაძეს მინიჭებია არქიტექტორის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავჯდომარე

რექტორი

მდივანი

ბეჭედი

1987 წ. "28" x

სარეგისტრაციო № 3154

Грузинский ю.

სახელი, გვარი : ქართლოს მაისურაძე

დაბადების თარიღი : 26.02.1959

მისამართი : ქ.თბილისი, თუმანიანის შესახვ, 4

ტელეფონი : 593 328 322

ელ.ფოსტა : kartlosm@gmail.com

განათლება : საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, არქიტექტურის ფაკულტეტი

პროფესიული გამოცდილება : 30 წლის მუშაობის სტაჟიინჟინერ-არქიტექტორად

პროგრამების ცოდნა : AutoCAD, Photoshop, Artlantis

შესრულებული ობიექტები :

- მრავალფუნქციური შენობა, წერეთლის 49-51.

- მრავალფუნქციური შენობა, პეტრიწის ქუჩა, 1კორპუსის მიმდებარედ.
- სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი სახლი ბაკურიანში, 25 მეტრიანების მიმდებარედ.
- კოტეჯები ბაკურიანში, 25 მეტრიანების მიმდებარედ (შეთანხმების პროცესში).
- მრავალფუნქციური შენობა, დიდი დიღომი, 2 მიკრორაიონი, ი.პეტრიწის და დ.თავდადებულს შორის.
- მწვანე აფთიაქი, თბილისი, ლესელიძის 53.
- მრავალფუნქციური შენობა, დიდი დიღომი, 1 მიკრორაიონი, ცენტრალური გზა, უბანი 3, ნაკვეთი.
- მრავალფუნქციური შენობა, დიდი დიღომი, 1 მიკრორაიონი, ცენტრალური გზა.
- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლები.